

**თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი (ITI)
საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია**

ცეკვის საერთაშორისო დღის გზავნილი – 2026 წლის 29 აპრილი

გზავნილი ავტორი: კრისტალ ჰაიტი, კანადა

ქორეოგრაფი

**ცეკვის საერთაშორისო დღის გზავნილი 2026
კრისტალ ჰაიტი, კანადა**

ადამიანი მოძრაობს – ჩვენი ხელები იშლება, მუხლები გვეკეცება, თავს ვაქნევთ, გულ-მკერდი იკუმშება, ზურგი იხრება, ვხტუნავთ, მხრებს ვწევთ, მუშტებს ვკრავთ, ერთმანეთს მაღლა ვწევთ და ერთმანეთს ვშორდებით. ეს ისეთივე ენაა, რამდენადაც მოქმედება. ასე გამოხატავს სხეული საჭიროებას, დამარცხებას, გამბედაობას, სასოწარკვეთას, ლტოლვას, სიხარულს, წინააღმდეგობას, იმედგაცრუებას, სიყვარულს. ეს გამოსახულებები იმიტომ იძენენ ჩვენს გონებაში მნიშვნელობას, რომ ჩვენ ეს ყველაფერი სხეულით ძალიან უშუალოდ გვაქვს განცდილი – მათ ჩვენში ემოცია აღძრეს.

ჩვენ ყველა მოცეკვავე ვართ. ცხოვრება გვამოძრაებს; ცხოვრება გვაგვიკვებს. სუნთქვასავით წარმავალი, ძვალვით მყარი, ცეკვა ჩვენგან იქმნება. სივრცეს ვძერწავთ. ჩვენ ვწერთ სხეულით უსიტყვო ენაზე, რომელიც სიღრმისეულად გვესმის. როდესაც ვცეკვავთ, ჩვენს შინაგან და გარეგან სამყაროს მადლით ვავსებთ.

ცხოვრების მსგავსად, ცეკვაც ყოველ წამს თავის თავს ქმნის და ანადგურებს. სიყვარულის მსგავსად, ისიც ყოველგვარ ლოგიკას სცილდება.

სხეული წარმომიდგენია როგორც ადგილი, სივრცე, სადაც ყოფიერება ყალიბდება და ბინადრობს. ცეკვისას კი ჩვენ ამ არსებობის განცდაში სრულიად ვიძირებით.

ამას 2026 წლის დასაწყისში ვწერ, როცა ჩვენს სამყაროში ჩაგვრას, ძალადობასა და ტანჯვას დასასრული არ უჩანს. ყოველდღიურად, როცა ვხედავთ, რა საშინელებების გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთისთვის, და როცა ვუყურებთ ძალაუფლების მანქანას, რომელიც ასაზრდოებს და კვებავს წარმოუთქმელ ძალადობას ადამიანებისა და პლანეტის წინააღმდეგ, ცეკვა ზედაპირულ, უსარგებლო პასუხად

მეჩვენება. ძნელი წარმოსადგენია, რისი გაკეთება შეუძლია მოცეკვავეს ისეთ სამყაროში, რომელსაც რადიკალური ცვლილება და განკურნება ასე ძლიერ სჭირდება.

და მაინც – ხელოვნება, ისევე როგორც იმედი, სიყვარულის ფორმაა. გათელვის წინაშე ჯიუტად ნაყოფიერი, ხელოვნება ადუნებს გაგიჟებულ გონებას და კურნავს მის იარებს. ხელოვნება არის თავშესაფარი, რომელიც გვიფარავს, სანამ ერთად ვებრძვით კითხვებს – ისე, როგორც არ შეუძლია ახალ ამბებს, დოკუმენტურ ფილმებს, განათლებას, მოსაზრებებს, სოციალურ მედიას, აქტივიზმსა თუ პროტესტს, მაგრამ ის ამ ყველაფერთან შეუთავსებელი არ არის.

კრეატიული შემოქმედებით ჩვენ ვაგროვებთ გამძლეობასა და იმედს – გამბედაობის, ცნობისმოყვარეობის, სიკეთისა და თანამშრომლობის მცირე აქტებით. ცეკვაში და ცეკვის შექმნაში ვპოულობთ მტკიცებულებას, რომ კაცობრიობა მეტია, ვიდრე ჩვენი უახლესი სულისშემძვრელი გლობალური მარცხი.

მაგრამ ცეკვას არც გამართლება სჭირდება და არც ახსნა. ის ჩვენგან შედგება, მაგრამ არაფერი გვმართებს მის მიმართ. მთავარია, სხეულმა ინებოს მისი მასპინძლობა. სწორედ აქედან ახერხებს ის ენით აუწერელის გადმოცემას. ის ერთგვარი ხიდია ჩვენსა და ამოუცნობს შორის.

აწმყოში, გაელვებული სილამაზის ეს წარმავალი კვალი, ჩვენში მძაფრ ემოციას იწვევს. და როცა ჩვენ ერთდროულად ვანსხიერებთ ცეკვასაც და მის გაქრობასაც, გვახსენდება ჩვენი წარმავლობა. ამავედროულად, თუ ყურადღებით ვიქნებით, ცეკვა საშუალებას მოგვცემს წამიერად მაინც ჩავიხედოთ სულში.